Peace Corps
GEORGIA

# SITE IDENTIFICATION HANDBOOK
# გზამკვლევი საგანმათალებლო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციებისთვის

## Peace Corps Response Program

## მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამა

# Background

The Peace Corps is an international network of Volunteers, community members, host country partners, and staff who each have a unique service journey, defined by an enduring desire to learn and grow. The Peace Corps' approach, grounded in mutual respect and collaboration, is a catalyst for grassroots development. At the invitation of governments around the world, Peace Corps Volunteers work alongside community members on locally-prioritized projects that build relationships, promote knowledge exchange, and make a lasting and measurable impact. Peace Corps Volunteers represent the people of the United States. With humility and intercultural competence, they integrate into and work with their host communities to foster world peace and friendship. Through service, members of the Peace Corps network hone transferable skills that help them become and inspire the next generation of global leaders.

Peace Corps projects are designed and planned in collaboration with stakeholders, host country governmental and non-governmental agencies. The Peace Corps office in Tbilisi-country coordinates the collaborative work of Volunteers and host agencies. Volunteers are supervised by host country agencies, and not solely by Peace Corps. Local agencies, organizations, and communities also sponsor Volunteers in their communities and provide needed support.

Peace Corps Response Volunteers (PCRVs) serve in targeted/specialized assignments for 10 months, with the possibility of extension. Unlike other foreign aid workers, Volunteers are afforded no special privileges. Volunteers receive a modest living allowance, which allows them to live at the same level as the people in their host communities. Volunteers do not provide commodities, equipment, or funds.

In over 60 years since its founding, more than 242,000 Americans have joined the Peace Corps, serving in 143 countries. Volunteers work in the fields of education, environment, health, community economic development, agriculture, and youth development. Peace Corps began in Georgia in 2001 with an English Education Project. Today, Peace Corps Georgia s also has the Individual and Organizational Development Project, Response Project and Virtual Service Pilot with short-term assignments.

# Peace Corps Response Volunteers

The Peace Corps headquarters in Washington, D.C. is responsible for recruiting Volunteers throughout the United States. Peace Corps Volunteers must be American citizens, above eighteen years of age, and must possess the necessary skills and training required for the program for which they apply. There are no restrictions regarding age, sex, or religion.

Peace Corps Response Volunteers are recruited based on specific qualifications that meet the needs of the requesting institution/organization. The scope of collaboration and the qualifications for the Volunteer are designed and agreed between Peace Corps Georgia Response Project staff and requesting institution/organization. Response Volunteers are experienced professionals who bring a specialized skill set to time-bound targeted assignments.

Response Volunteers in Georgia can be assigned to support at local, regional, and central level in various sectors and institutions:

Education Sector:

- Public Schools with specialized projects

- Vocational Colleges
- Universities
- Education Resource Centers (ERCs)
- Non-Government Organizations working in the education sector
- Professional Associations
- Ministry of Education, Science and Youth

Youth Sector:
- Youth Centers
- Youth Associations/Councils
- Non-Government Organizations
- Civil Society Organizations
- Legal Entities of Public Law (LEPL)

Organizational Development:
- Local self-governments
- Non-Government Organizations
- Civil Society Organizations
- Professional Associations
- Legal Entities of Public Law (LEPL)

Please note that placement within sectors is not exclusive to the sector development needs. For example, a Volunteer can work in an educational institution to help with their organizational capacity building rather than supporting the teaching/learning project. Response Program implemented an open call for partnership interest in June, 2025. Based on the results of the survey, Response Program has identified five technical assistance areas for 2026-2027. In the application form potential host institutions are asked to select up to three technical assistance areas with priority rankings that meet their organizational needs. Below you can review a short description of the five areas:

1. English Instruction and Curriculum Development: Response Volunteers will collaborate with colleges, public schools or universities to help students improve their speaking, listening, reading, and writing skills in English through interactive and innovative teaching and learning experiences, project-based learning opportunities, student leadership development and themed non-formal educational activities. Response Volunteers and teachers/instructors/professors will create or enhance existing English language curricula at colleges and schools. The goal of this technical assignment area is to strengthen the intuitional capacity in teaching English and support better learning outcomes among students.
2. E-learning/Digital Learning: Response Volunteer will collaborate with host organization teams to help develop integrated e-learning systems and courses, enhance staff capacity to work with IT teams during content development, develop training modules for students on how to use LMS systems and help monitor and evaluate progress in using digital learning modalities. The goal of this technical assignment area is to strengthen the institutional capacity of universities, colleges and educational non-profit organizations in building and managing e-learning systems, content and resources.
3. Youth and Community Engagement: Response Volunteers will collaborate with counterparts from the host organizations (educational institutions, state institutions or non-profit organizations) to create, enhance or promote youth empowerment activities in the respective communities. Response Volunteers will support the host partners in designing and implementing youth-focused programming, conduct youth enrichment activities, and mobilize youth and community members to enhance youth engagement and leadership in community development. The goal of this technical assignment area is to enhance youth livelihood skills

and youth role in community development, as well as to strengthen host organization capacity to run effective youth programs.

4. Fundraising and Income Generation: Response Volunteers will collaborate with counterparts from the host organizations (educational institutions, state institutions, non-profit organizations, public-private entities) to identify and pilot new funding models, create and test new social entrepreneurship or other income generation models, explore corporate social responsibility partnerships with private businesses, build strong project management and partnership building skills. The goal of this technical assignment area is to support host institutions in developing sustainable funding and growth models.
5. Monitoring, Evaluation and Reporting: Response Volunteers will collaborate with counterparts from the host organizations (educational institutions, state institutions, non-profit organizations, public-private entities) to develop needs assessment tools, M&E plans for specific projects, data collection and analysis, reporting and outreach strategies and skills. The goal of this assignment is to support strengthening the monitoring, evaluation and reporting capacity of the organizational staff leading to improved program/project design and management.

## მშვიდობის კორპუსის შესახებ

მშვიდობის კორპუსი წარმოადგენს მოხალისეების, საზოგადოების წევრების, მასპინძელი ქვეყნის პარტნიორებისა და თანამშრომლების საერთაშორისო ქსელს, რომელთაგანაც თითოეულს გააჩნია სამსახურის უნიკალური გამოცდილება სწავლისა და ზრდის მუდმივი სურვილით. მშვიდობის კორპუსის მიდგომა, რომელიც ეფუძნება ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობას, ხელს უწყობს ძირეულ განვითარებას. მსოფლიოს მთავრობების მოწვევით, მშვიდობის კორპუსის მოხალისეები მუშაობენ თემის წევრებთან ერთად ადგილობრივ პრიორიტეტულ პროექტებზე, რომლებიც ამყარებენ ურთიერთობებს და ხელს უწყობენ ცოდნის გაზიარებას ხანგრძლივი და გაზომვადი ეფექტით. მშვიდობის კორპუსის მოხალისეები წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს. თავმდაბლობითა და ინტერკულტურული კომპეტენციით, ისინი ინტეგრირდებიან და მუშაობენ თავიანთ მასპინძელ თემთან, რათა ხელი შეუწყონ მსოფლიო მშვიდობასა და მეგობრობას. სამსახურის მეშვეობით, მშვიდობის კორპუსის ქსელის წევრები ივითარებენ ტრანსფერულ უნარებს, რაც მათ ეხმარებათ გახდნენ და ამავდროულად შთააგონონ გლობალური ლიდერების მომავალი თაობა.

მშვიდობის კორპუსის პროექტები მუშავდება დაინტერესებული მხარეების, მასპინძელი მხარის მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მათთან თანამშრომლობით. მშვიდობის კორპუსის ოფისი, რომელიც მდებარეობს თბილისში, კოორდინირებას უწევს მიმღები მხარისა და მოხალისის კოლაბორაციულ მუშაობას. მოხალისეს ზედამხედველობას უწევს როგორც მშვიდობის კორპუსი, ასევე, მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენლები. მიმღები ორგანიზაცია და თემი მუშაობს მოხალისესთან ერთად და გამოხატავს საჭირო მხარდაჭერას.

მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროექტის მოხალისეები მიზნობრივი/სპეციალიზირებული პროგრამების ფარგლებში მსახურობენ 10თვის ვადით. სხვა უცხოური ორგანიზაციების თანამშრომლებისაგან განსხვავებით, მოხალისეებს არ აქვთ განსაკუთრებული პრივილეგიები. მოხალისეები იღებენ მოკრძალებულ ანაზღაურებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს იცხოვრონ საზოგადოების რიგითი წევრების მსგავსად. მოხალისეები არ უზრუნველყოფენ მასპინძელ თემებს/ორგანიზაციებს ტექნიკით, მოწყობილობით ან ფინანსური რესურსებით.

მშვიდობის კორპუსის სამოცზე მეტი წლის არსებობის განმავლობაში 242 000-ზე მეტ ამერიკელს უმსახურია მსოფლიოს 143 ქვეყანაში. ისინი მუშაობენ განათლების, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, თემის ეკონომიკური განვითარების, ახალგაზრდობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში. მშვიდობის კორპუსის პირველი პროექტი საქართველოში ინგლისური ენის სწავლების სფეროში 2001 წელს დაიწყო. ამჟამად მშვიდობის კორპუსი საქართველო ასევე ახორციელებს ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების პროექტს, მიზნობრივი მხარდაჭერის პროექტს და ვირტუალური ჩართულობის საპილოტე პროექტებს მოკლევადიანი დავალებებით.

## მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატებში, მოხალისეების შერჩევას მშვიდობის კორპუსის ვაშინგტონის სათავო ოფისი ხელმძღვანელობს. მშვიდობის კორპუსის მოხალისეები უნდა იყვნენ 18 წელზე უფროსი, აშშ-ს მოქალაქეები, ფლობდნენ საჭირო უნარ-ჩვევებსა და მომზადებას, რომელიც მოითხოვება იმ პროგრამისათვის, რომელზეც შეაქვთ განაცხადი. სქესისა და სარწმუნოებასთან მიმართებით.

მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეების შერჩევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კვალიფიკაციების მიხედვით. თანამშრომლობის ჩარჩოს და მოხალისის კვალიფიკაციებს მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხადაჭერის პროგრამის ხელმძღანელი წინასწარ

ათანხმებს განმცხადებელ/დაინტერესებულ ორგანიზაციასთან. მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეები არიან გამოცდილი და წინასწარ განსაზრვრული სამიზნე პროექტების შესასრულებლად, სპეციალიზებულ უნარ-ჩვევებს ფლობენ.

საქართველოში მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეები შეიძლება შეიძლება განთავსებული იყოს ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე სხვა და სხვა სექტორში მომუშავე დაწესებულებაში:

საგანმანათლებლო სექტორი:

- საჯარო სკოლები სპეციალიზირებული პროეტებით
- პროფესიული კოლეჯები
- უნივერსიტეტები
- საგანმანათლებლო რესურს ცენტრები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- პროფესიული ასოციაციები
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ახალგაზრდული სექტორი:

- ახალგაზრდული ცენტრები
- ახალგაზრდული ასოციაციები/საბჭოები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
- საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ)

ორგანიზაციული განვითარება:

- ადგილობრივი თვითმმართველობა
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
- პროფესიული ასოციაციები
- საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ)

**გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სექტორულად განთავსება შეიძლება ემსახურებოდეს სექტორის მიღმა განვითარების საჭიროებებს. მაგალითად, მოხალისე შესაძლებელია განთვასდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების პროფილით და არა სწავლის/სწავლების პროცესის მხარდასაჭერად. მოხალისის სამუშაო ფოკუსს ირჩევთ თქვენ და განსაზღვრავთ მოთხოვნის ფორმაში.**

მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წლის ივნისში განვახორციელეთ გამოკითხვა პარტნიორების ინტერესების შესახებ. შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირდა ხუთი ტექნიკური მიმართულება 2026-2027 წლისთვის. აპლიკაციაში პოტენციურ მასპინძელ დაწესებულებებს პრიორიტეტის მიხედვით უნდა აერჩიათ მაქსიმუმ სამი სხვადასხვა ტექნიკური მიმართულება, რომლებიც მათ ორგანიზაციულ საჭიროებებს პასუხობდა. ქვემოთ შეგიძლიათ, იხილოთ ხუთივე მიმართულების მოკლე აღწერა:

1. **ინგლისურის სწავლება და კურიკულუმის განვითარება:** მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეები ითანამშრომლებენ კოლეჯებთან, საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებთან, რომ დაეხმარონ სტუდენტებსა და მოსწავლეებს, გაიუმჯობესონ ინგლისურად საუბრის, მოსმენის, კითხვისა და წერის უნარები ინტერაქტიული და ინოვაციური სასწავლო მიდგომების, პროექტზე დაფუძნებული სწავლების, სტუდენტური ლიდერობის განვითარებისა და თემატური არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენების

მეშვეობით. მოხალისეები და მასწავლებლები/ლექტორები/ტუტორები შექმნიან ან გააუმჯობესებენ ინგლისური ენის შესწავლის არსებულ კურიკულუმს სკოლებში, უნივერსიტეტსა თუ კოლეჯებში. ამ ტექნიკური დავალების მიზანია ინგლისურის სწავლების მიმართულებით არსებული ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდა და სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების გაუმჯობესება.

2. **ციფრული სწავლება:** მოხალისეები ითანამშრომლებენ მასპინძელ დაწესებულებებთან, რომ განავითარონ ინტეგრირებული ციფრული სწავლების სისტემები და კურსები, გააუმჯობესონ თანამშრომლების შესაძლებლობები, რომ მათ იმუშაონ IT გუნდებთან კონტენტის განვითარების დროს, ასევე შექმნან და განავითარონ ტრენინგ-მოდულები სტუდენტებისთვის LMS სისტემის გამოყენების სასწავლებლად და დაეხმარონ, ციფრული სწავლების მეთოდების გამოყენების პროგრესის მონიტორინგსა და შეფასებაში. ამ ტექნიკური დავალების მიზანია, გააძლიეროს უნივერსიტეტების, კოლეჯებისა და საგანმანათლებლო ა(ა)იპ-ების ინსტიტუციური შესაძლებლობები ციფრული სწავლების სისტემების, კონტენტისა და რესურსების შექმნისა და მართვის მხრივ.
3. **ახალგაზრდებისა და თემების ჩართულობა:** მოხალისეები ითანამშრომლებენ მასპინძელი ორგანიზაციების (სასწავლო დაწესებულებები, სახელმწიფო ინსტიტუტები ან არასამთავრობო ორგანიზაციები) წარმომადგენლებთან, რათა შესაბამის თემში შექმნან, გააუმჯობესონ ან პოპულარიზაცია გაუწიონ ახალგაზრდულ აქტივობებს. მოხალისეები დაეხმარებიან პარტნიორებს ახალგაზრდებზე ორიენტირებული პროგრამების განვითარებასა და განხორციელებაში, ჩაატარებენ ახალგაზრდული განვითარების აქტივობებს და მობილიზებას გაუწევენ თემის წევრებს, რომ გააუმჯობესონ ახალგაზრდების ჩართულობა და ლიდერობა თემის განვითარებაში. ამ ტექნიკური დავალების მიზანია, გააუმჯობესოს ახალგაზრდების უნარები და მათი როლი თემების განვითარებაში, ისევე როგორც გაზარდოს მასპინძელი ორგანიზაციის შესაძლებლობები ეფექტური ახალგაზრდული პროგრამების შექმნის მხრივ.

4. **თანხების მოძიება და შემოსავლის გენერირება:** მოხალისეები ითანამშრომლებენ მასპინძელი ორგანიზაციების (საგანმანათლებლო და სახელმწიფო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო-კერძო თანამშრომლობა) წარმომადგენლებთან, რათა შეძლონ დაფინანსების ახალი მოდელების იდენტიფიცირება და ცდა, შექმნან და გატესტონ ახალი სოციალური საწარმოები ან შემოსავლის გენერირების სხვა მოდელები, შეისწავლონ კერძო ბიზნესებთან კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ პარტნიორობის შესაძლებლობები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ/ასწავლონ პროექტების მართვისა და პარტნიორებთან ურთიერთობის უნარები. ამ ტექნიკური დავალების მიზანია, დაეხმაროს მასპინძელ დაწესებულებებს მდგრადი დაფინანსებისა და ორგანიზაციული ზრდის მოდელების განვითარებაში.
5. **მონიტორინგი, შეფასება და რეპორტინგი:** მოხალისეები ითანამშრომლებენ მასპინძელი ორგანიზაციების (საგანმანათლებლო და საჯარო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო-კერძო საწარმოები) წარმომადგენლებთან, რომ განავითარონ საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტები, მონიტორინგისა და შეფასების გეგმები კონკრეტული პროექტებისთვის, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესი, რეპორტინგი და გავრცელების სტრატეგიები და უნარები. ამ დავალების მიზანია, დაეხმაროს მასპინძელ ორგანიზაციებს, გააძლიერონ მათი თანამშრომლების შესაძლებლობები მონიტორინგის, შეფასებისა და რეპორტინგის მიმართულებით, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს პროგრამის/პროექტის შექმნისა და მართვის პროცესს.

# PEACE CORPS RESPONSE PROJECT IN GEORGIA

The Response Project was initiated in 2010 in Georgia and works with educational institutions, governmental and nongovernmental organizations on short-term, high impact assignments. Volunteers serve for ten months, providing targeted technical assistance. When possible, the program prioritizes working with vulnerable target groups such as people with disabilities, IDPs and others. The program brings Volunteers with expertise in selected technical assistance areas. The program operates at a moderate scale currently in Georgia with 10-12 Volunteer per year.

### Project Goal

Individuals in public sector and civil society advance Georgia's socioeconomic development.

### Project Objectives

- Increase teachers' capacity in advanced English teaching methodologies.
- Increase students' work readiness skills.
- Improve organizations' capacity to achieve their missions.
- Increase individuals' professional skills.

# RESPONSE PROJECT VOLUNTEER PROJECTS

Peace Corps Response Volunteers are placed in those communities, educational institutions, and organizations in the regions of Georgia where there is a clearly identified collaboration need and motivation to partner with the Volunteer. Volunteers will not replace or substitute Georgian workers of the organizations to which they are assigned. Volunteers do not perform tasks and duties of a paid staff. The Volunteer will need to be working alongside their Georgian counterparts to fulfill the goals of the project and promote human capacity building, sustainable organizational and community development.

Within Response Program Volunteers accomplish wide variety of activities; here are just a few examples:

### Organizational Development Sector:

- Assisting in developing organizational strategies and strategic plans for management, organizational development, fundraising, communication,
- Collaborating on the development of the strategy action plans.
- Helping to streamline the grant proposal development and application processes for the organizations.
- Helping design and administer needs assessments, stakeholder mapping and engagement plans.
- Assisting in building program/project design, program/project monitoring and evaluation, and sustainability plans.
- Assisting in designing and implementing advocacy campaigns focused on social, non-political agendas.

- Training organization members, interested adults and youth in project design and management, budgeting, strategic planning, usage of modern technologies, leadership, time management, communication, and other skills.
- Training organization members, community youth and other members in livelihood skills such as employability, digital literacy, entrepreneurship networking, etc.
- Creating public relations materials and websites for the organizations; supporting with stakeholder management plans
- Creating social media and digital marketing strategies and plans.

Education Sector:

- Supporting universities, vocational colleges, schools, and other educational institutions in improving English Language Education program.
- Teaching English to students, teachers' community members, and organization staff.
- Training teachers in advancing teaching practices and professional skills.
- Assisting in the development or improvement of curricula for educational programs.
- Helping build inclusive and participatory non-formal education programs.
- Helping students to improve livelihood skills such as employability, digital literacy, networking, etc.
- Helping schools, universities, and vocational education institutions to create and/or adopt new English language learning resources, including technologies, and external learning opportunities for students, teachers, and community members.

Each Volunteer in Response Program works under the pre-defined Position Description that lists the collaboration objectives, tasks, and deliverables. Apart from this primary assignment, sometimes Volunteers engage in different community-initiated projects. Using their skills, interests, and experience, and in accordance with locally expressed needs, Volunteers will assist communities in developing and enhancing educational, health, agricultural, environmental, and other social projects. Volunteers may implement projects in their own community, or they may participate in projects in other communities.

# მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის შესახებ

საქართველოში მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება 2010 წელს დაიწყო. პროგრამის ფარგლებში მოხალისეები მუშაობენ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიზნობრივ, მაღალეფექტურ პროექტებზე. მოხალისეები მსახურობენ 10 თვის განმავლობაში. როცა შესაძლებელია, პროგრამა უპირატესად თანამშრომლობს მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები და ა.შ.

მიზნობრივი პროგრამის მოხალისეები შესაბამის ტექნიკურ კვალიფიკაციებსა და გამოცდილებას ამჟამად საქართველოში პროგრამა ზომიერი მასშტაბით, წელიწადში 10-12 მოხალისის განთავსებით ოპერირებს.

### პროექტის მიზანი:

საჯარო და სამოქალაქო სექტორებში ჩართულმა ადამიანებმა ხელი შეუწყონ საქართველოს

სოციოეკონომიკურ განვითარებას.

### პროექტის ამოცანები:

- გაიზრდება მასწავლებელთა უნარები ინგლისურის სწავლების მოწინავე მეთოდოლოგიების გამოყენებაში.
- გაიზრდება მოსწავლეებისა და სტუდენტების სამუშაოსადმი მზაობა.
- გაუმჯობესდება ორგანიზაციების უნარი დასახული ამოცანების შესასრულებლად.
- გაუმჯობესდება ინდივიდთა პროფესიული უნარები.

# მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეთა პროექტები

მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეები საქართველოს იმ თემებში, სკოლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ნაწილდებიან, სადაც მათთან თანამშრომლობის მკაფიო საჭიროება, ხედვა და დაინტერესებაა. მოხალისეები ითანამშრომლებენ ქართველ პარტნიორებთან, როგორც პროექტის განხორციელებისთვის, ისე ადამიანური შესაძლებლოების, მდგრადი ორგანიზაციული და სათემო განვითარების ხელშეწყობისთვის. მოხალისეები ორგანიზაციაში არ შეცვლიან ქართველ თანამშრომლებს, ისინი არ ასრულებენ დაქირავებული თანამშრომლის როლსა და ფუნქციებს.

მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოხალისეები საქმიანობის ფართო სპექტრს ახორციელებენ. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:

### ორგანიზაციული განვითარების სექტორი:

- მენეჯმენტის, ორგანიზაციული განვითარების, ფინანსების მოძიების, კომუნიკაციის და სხვა ტიპის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში დახმარება;
- საგრანტო წინადადების ჩამოყალიბებაში, პროექტების დაგეგმვასა და მართვაში დახმარება;
- ტრეინინგი ორგანიზაციების წევრებისათვის, დაინტერესებულ ზრდასრულებისა და ახალგაზრდებისათვის პროექტის დაგეგმვასა და მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმვაში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაში, ლიდერობაში, დროის მენეჯმენტში, კომუნიკაციაში, და სხვა უნარების განვითარებაში;

- ტრეინინგი ორგანიზაციის წევრებისთვის, თემის ახალგაზრდებისა და სხვა წევრებისთვის საკვანძო უნარებში, როგორიცაა დასაქმების უნარები, ციფრული წიგნიერება, მედია წიგნიერება, სამეწარმეო აზროვნება და ა.შ.
- ორგანიზაციებისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის განკუთვნილი მასალებისა და ვებ-გვერდების შექმნა; დაინტერესებული მხარეების მართვის გეგმებით მხარდაჭერა;
- სოციალური მედიის სტრატეგიის და ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების შემუშავება;

**განათლების სექტორი:**

- ინგლისური ენის სწავლების პროგრამის გაუმჯობესებაში უნივერსიტეტების, პროფესიული კოლეჯების , სკოლების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარება;
- სტუდენტებისთვის, მასწავლებელთათვის, თემის წევრებისა და ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ინგლისური ენის სწავლება;
- მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება სწავლების მეთოდიკისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით;
- სტუდენტების დახმარება საკვანძო უნარების გაუმჯობესებაში, როგორიცაა დასაქმების უნარები, ციფრული წიგნიერება, მედია წიგნიერება, სამეწარმეო აზროვნება და ა.შ.
- ინგლისური ენის ახალ სასწავლო რესურსების და ტექნოლოგიების შექმნა და გამოყენება; სტუდენტებს, მასწავლებლებსა და თემის წევრებს კი კლასგარეშე სწავლის შესაძლებლობებზე წვდომის უზრუნველყოფა.

მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის თითოეული მოხალისე წინასწარ შეთანხმებული თანამშრომლობის ჩარჩოს ფარგლებში გაწერილ ამოცანებსა და დავალებებზე მუშაობს. ძირითადი პროექტის გარდა, მოხალისეებს შეუძლიათ ჩაერთონ თემის/პარტნიორი ორგანიზაციის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროექტებში. თავიანთი უნარების, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად და ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, ისინი ეხმარებიან თემებს საგანმანათლებლო, სათემო განვითარების, გარემოსდაცვითი და სხვა სოციალური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მოხალისეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც საკუთარი, ისე სხვა თემების მიერ ინიცირებულ პროექტებში.

## MINIMUM CRITERIA FOR APPLICANT ORGANIZATIONS AND EDUCATIONAL INSTITUTIONS:

| SAFETY & SECURITY |
|---|
| 1. The political and social environment of the site is stable and does not present significant security concerns. (Please note: the community must be in Kakheti (except north of Akhmeta), Kvemo Kartli, Mtskheta-Mtianeti except Stepantsminda and north of Stepantsminda), Shida Kartli, Samtskhe-Javakheti, Imereti, Racha-Lechkhumi, Svaneti, Samegrelo, Ajara or Guria regions. Villages and towns located within 5km of the Administrative Boundary Lines (ABLs) of South Ossetia or Abkhazia are not eligible.) The community agrees to provide information about the proximity of the community to nearby military installations, airfields, or any radar facilities as well as any ongoing large-scale construction projects. |
| 2. The level of violent crime, harassment, burglaries, or known dangerous individuals in the area that has/have affected existing or previous Volunteers is not of a nature that poses a risk to the safety and security of a new Volunteer. Site has no significant violent crime activity or gang-related activity and is not known as a drug trafficking route. |
| 3. Risks due to natural disasters can be minimized through planning, prevention, and mitigating measures. (Please note: The community may have a history of minor natural disasters, but these were able to be minimized through planning, prevention, and mitigating measures.) |
| 4. The community is not aware of safety and/or security incidents in the community that would prevent the placement of future Volunteers. |
| MEDICAL |
| 5. Emergency medical service (i.e., ambulance service) is available under normal operating circumstances to support this community. |
| 6. Known endemic diseases that may be present in the community can generally be avoided through awareness and prevention. |
| 7. There are no known environmental health hazards in the community that might prevent the placement of a Volunteer. |
| FOOD, WATER & HOUSING |
| 8. The community worksite and proposed housing have access to treatable water sources. |
| 9. Basic consumable items are available in the community or within two hours of the community. |
| 10. Housing is available that meets (or can be brought into compliance with) the post's Housing Criteria Checklist shown below. |
| TRANSPORTATION |
| 11. The site is accessible all year round, and there are emergency transportation options available not more than one hour (travel time) from the site. Travel time can include traveling by foot, bike, or vehicle. |
| COMMUNICATION |
| 12. Volunteer will have access to a reliable means of communication during a day. Post must be able to communicate with the Volunteer within a 24-hour period. |
| 13. There is cell phone, land line, satellite phone, radio, or Internet service available that allows for communication to be sent and received. This service must be no more than one hour (travel time) from the Volunteer's home. |

# ორგანიზაციებისა და სკოლების შერჩევის მინიმალური კრიტერიუმები

| **უსაფრთხოება** |
|---|
| 1. თემის პოლიტიკური და სოციალური გარემო სტაბილურია და არ არის წარმოდგენილი რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა უსაფრთხოების მხრივ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ: თემი უნდა მდებარეობდეს კახეთში (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე დასახლებების გარდა), ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში (სტეფანწმინდისა და სტეფანწმინდის ჩრდილოეთით მდებარე დასახლებების გარდა), შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, სამეგრელოში, აჭარისა და გურიის რეგიონებში. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლიდან  ხუთ-კილომეტრიან მონაკვეთში მდებარე დასახლებებს კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ). თემი თანხმობას აცხადებს, მოგვაწოდოს ინფორმაცია სამხედრო დასახლებების, ასაფრენი მოედნის, სარადარე მოწყობილობისა თუ ნებისმიერი ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების სიახლოვის შესახებ. |
| 2. ძალადობრივი დანაშაულის დონე, შევიწროვება, ძარცვა ან ცნობილი სახიფათო პირები, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედეს ახლა ან მანამდე არსებულ მოხალისეებზე, არ უქმნის საფრთხეს ახალი მოხალისის უსაფრთხოებას. თემში არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ძალადობრივი დანაშაულის ან ბანდსთან დაკავშირებული აქტივობა და ის არ არის ცნობილი, როგორც ნარკოტიკებით ვაჭრობის მარშრუტი. |
| 3. სტიქიური უბედურებებით გამოწვეული რისკების მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია დაგეგმვის, პრევენციისა და შემარბილებელი ზომების მიღების მეშვეობით. (გთხოვთ გაითვალისწინოთ: თემში შეიძლება, არსებობდეს მცირე სტიქიური კატასტროფების ისტორია, რომელიც მინიმუმამდე შემცირდა დაგეგმვის, პრევენციისა და შემარბილებელი ზომების მიღების შედეგად). |
| 4. თემში არ არსებობს ინფორმაცია ისეთი უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ , რომელიც ხელს შეუშლის მომავალი მოხალისეებისს განთავსებას. |
| **სამედიცინო ნაწილი** |
| 5. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (ანუ სასწრაფო დახმარების სერვისი) ხელმისაწვდომია ჩვეულებრივ სამუშაო პირობებში ამ თემის მხარდასაჭერად |
| 6. ცნობილი ენდემური დაავადებები, რომლებიც შეიძლება იყოს საზოგადოებაში, შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ინფორმირებულობისა და პრევენციის გზით. |
| 7. თემში არ არსებობს ინფორმაცია ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოს შესახებ, რომელიც შეიძლება ხელი შეუშალოს მოხალისეების განთავსებას. |
| **საკვები, წყალი და საცხოვრებელი** |
| 8. თემში არსებულ სამუშაო ადგილსა და შემოთავაზებულ საცხოვრებელს წვდომა აქვს წყლის დასამუშავებელ/გამწმენდ წყაროებზე. |
| 9. ძირითადი სამომხმარებლო ნივთები ხელმისაწვდომია თემში, ან თემის ირგვლივ ორი საათის სავალ მანძილზე. |
| 10. ხელმისაწვდომია საცხოვრებელი სახლი, რომელიც აკმაყოფილებს (ან შეიძლება შესაბამისობაში მოიყვანონ) პოსტის საცხოვრებელი სახლის კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელიც ნაჩვენებია ქვემოთ. |
| **ტრანსპორტი** |
| 11. თემში ტრანსპორტით მისვლა შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საგანგებო სიტუაციისთვის განკუთვნილი ტრანსპორტის გამოყენება, |

| |
|---|
| რომელიც თემიდან მაქსიმუმ ერთი საათის სავალ მანძილზე იქნება ხელმისაწვდომი. მგზავრობის დრო შეიძლება გულისხმობდეს როგორც ფეხით, ასევე ველოსიპედითა და სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებას. |
| **კომუნიკაცია** |
| 12. მოხალისეს დღის მანძილზე წვდომა ექნება კომუნიკაციის სანდო საშუალებებზე. მშვიდობის კორპუსს უნდა შეეძლოს მოხალისეთან დაკავშირება 24 საათიან ვადაში. |
| 13.თემში ხელმისაწვდომია მობილური ტელეფონი, ქსელის ტელეფონი, რადიო ან ინტერნეტი, რომელიც იძლევა კომუნიკაციის საშუალებას. მომსახურების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს მოხალისის სახლიდან მაქსიმუმ ერთი საათის სავალ მანძილზე. |

Minimum and ***Desired*** Criteria for Primary Work Assignment

| MINIMUM CRITERIA FOR PRIMARY WORK ASSIGNMENT |
|---|
| 1. The local host government/agency/organization/community has submitted a formal Volunteer Request Form and/or has demonstrated organizational need and a strong interest in and commitment to host and support a Volunteer. |
| 2. The organization/institution makes relevant staff available for the site selection process both online and in physical format, including for the position description development, site survey visits, and other consultation needs. |
| 3. Local community leaders and representatives (such as directors, staff, and other community members) are supportive of hosting a Volunteer and are willing to support as needed. |
| 4. Local community leaders and representatives (such as directors, staff, and other community members) actively seek out and identify viable housing options. |
| 5. The host organization/institution has a demonstrated organizational need and strong interest in and commitment to hosting a Volunteer. |
| 6. Organizational and community priorities are consistent with the Response Project Framework and Implementation Plan. |
| 7. There is a clearly identified role, sufficient workload, and workspace (consistent with what would be available for other staff) for the Volunteer. |
| 8. There is/are available, interested, and committed counterpart(s) in the organization/institution willing to work with and provide support to the Volunteer. |
| 9. The Director/the designee and at least one Counterpart express readiness to participate in Peace Corps sponsored orientations, trainings, and events. |
| DESIRED CRITERIA FOR PRIMARY WORK ASSIGNMENT |
| 10.a The Counterpart English teachers are willing to devote a minimum of two hours per week for lesson planning meetings with the Volunteer to design lessons, develop materials, and prepare for co teaching in class. (Education Institutions)<br><br>10.b There is an English speaker on staff that is willing to work with the Volunteer and devote on average at least 2 hours of time twice a week. (Organizations) |
| 11. The Director/Designee and Counterpart(s) are willing to develop an action plan with the Volunteer for his/her work in the site. |
| 12. The Director/Designee and Counterpart(s) are willing to support Volunteer to engage professionally with community-level stakeholders such as youth, associations, community groups. |
| 13. The organization/institution is willing to identify two Cultural Guides/Resources for the Volunteer who are willing to help with the cultural and local lifestyle questions. |

| |
|---|
| 14. The organization/institution is open and willing to assist the Volunteer with learning the Georgian language, learning about important cultural information, and to adjust to life in Georgia. |
| 15. The organization/institution is willing to cover all business travel related expenses of the Volunteer if required by the organization. (This may include transportation, per diem, and/or conference costs, etc. at the same level as a local staff person.) |

# ძირითადი სამუშაო დავალება

| მინიმალური კრიტერიუმები ძირითადი სამუშაო დავალებისთვის |
|---|
| 1. ადგილობრივმა მასპინძელმა მთავრობამ/სააგენტომ/ორგანიზაცია/თემმა წარმოადგინა მოხალისის მოწვევის განაცხადის ფორმა და/ან გამოავლინა ორგანიზაციული საჭიროება და ძლიერი ინტერესი და პასუხიმგებლობა, უმასპინძლოს და ხელი შუწყოს მოხალისეს. |
| 2. ორგანიზაციამ/საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოყო თანამშრომლები შერჩევის პროცესში ჩართულობისთვის, რაც მოიცავს პროექტის/პოზიციის აღწერილობის შექმნასა და მშვიდობის კორპუსის თანამშრომლის თემში ვიზიტისას მონაწილეობას, ან სხვა საკონსულტაციო საკითხებში ჩართულობას. |
| 3. ორგანიზაციის/საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან ადგილობრივი სათემო ჯგუფის ლიდერები და წარმომადგენლები (დირექტორები, პარტნიორები და თემის სხვა წევრები) მხარს უჭერენ მოხალისის მასპინძლობას და აქვთ სურვილი დახმარება გაუწიონ მას საჭიროებისამებრ |
| 4. ორგანიზაციის/საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან ადგილობრივი სათემო ჯგუფის ლიდერები და წარმომადგენლები (დირექტორები, პარტნიორები და თემის სხვა წევრები) აქტიურად ცდილობენ მოხალისისთვის კრიტერიუმების შესაბამისი საცხოვრებლის იდენტიფიცირებას. |
| 5. ორგანიზაციას/საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს მკაფიოდ გამოხატული ორგანიზაციული საჭიროება და მოხალისის მასპინძლობის ძლიერი ინტერესი. |
| 6. ორგანიზაციის/საგანმანათლებლო დაწესებულების და თემის პრიორიტეტები შესაბამისობაშია მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მიზნებთან, ამოცანებთან და პრიორიტეტებთან. |
| 7. მოხალისეს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული როლი, საკმარისი სამუშაო დატვირთვა და სივრცე (რაც თანხვედრაშია იმასთან რაც ხელმისაწვდომი იქნებოდა სხვა თანამშრომლებისთვის) |
| 8. მასპინძელ ორგანიზაციაში/საგანმანათლებლო დაწესებულებაში/თემში არის/არიან დაინტერესებული და მოტივირებული პარტნიორები, რომელთაც სურთ მოხალისესთან თანამშრომლობა და მისი მხარდაჭერა. |
| 9. დირექტორი/წარმომადგენელი და მინიმუმ ერთი თანამშრომელი მზად არიან მშვიდობის კორპუსის დაფინანსებულ საორიენტაციო შეხვედრებში, ტრეინინგებსა და სხვა ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა. |
| **სასურველი კრიტერიუმები ძირითადი სამუშაო დავალებისთვის** |
| *10ა. საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის: პარტნიორი ინგლისურის მასწავლებლები მზად არიან კვირაში მინიმუმ ორი საათი დაუთმონ მოხალისეს გაკვეთილების დასაგეგმი შეხვედრებისთვის, გაკვეთილების აგებისთვის, მასალების შემუშავებისთვის, და თანასწავლებისთვის მოსამზადებლად (საგანმანათლებლო დაწესებულებები).*<br>*10ბ. ორგანიზაციისთვის: ორგანიზაციაში არის ინგლისურად მოლაპარაკე თანამშრომელი, რომელიც მზადაა იმუშაოს მოხალისესთან და დაუთმოს მას კვირაში ორჯერ მინიმუმ ორი საათი (ორგანიზაციები).* |

| |
|---|
| *11. ორგანიზაციის დირექტორმა, პარტნიორმა და მოხალისემ ერთობლივად უნდა შეიმუშაონ დეტალური სამოქმედო გეგმა, პოზიციის/პროექტის აღწერილობის საფუძველზე.* |
| *12. ორგანიზაციის დირექტორი და პარტნიორი თანამშრომლები დაეხმარებიან მოხალისეს დაუკავშირდეს და გაეცნოს თემის წევრებს, მათ შორის ახალგაზრდებს, ასოციაციებსა და სხვა სათემო ჯგუფებს.* |
| *13. ორგანიზაცია/საგანმანათლებლო დაწესებულება მზადაა მოხალისისთვის თემში მოძიოს ორი ადამიანი, რომლებიც შეასრულებენ კულტურული გზამკვლევის როლს და მზად იქნებიან უპასუხონ კულტურის და ადგილობრივი ადათ-წესების შესახებ კითხვებს.* |
| *14. ორგანიზაცია/საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა დაეხმაროს მოხალისეს ქართული ენის შესწავლაში, ადათ-წესების გაცნობასა და საქართველოში ცხოვრებასთან შეგუებაში.* |
| *15. ორგანიზაცია/საგანმანათლებლო დაწესებულება მზადაა დაფაროს მოხალისის საქმიან მოგზაურობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, თუ ორგანიზაცია ამას მოითხოვს. (ეს შეიძლება მოიცავდეს ტრანსპორტირებას, დღიურ ანაზღაურებას და/ან კონფერენციის ხარჯებს და ა.შ. იმავე დონეზე, როგორც ეს ადგილობრივი თანამშრომლების შემთხვევაში ხდება.)* |

Housing

## Introduction

This guidance provides applicant partner organizations to Peace Corps Georgia Response Program information on the Response Volunteer housing identification and selection. Peace Corps Georgia is committed to providing all Volunteers with accommodation that meets certain criteria, including health and safety criteria, and is at the community standard of living. It is the partner organizations' responsibility, along with Peace Corps staff, to identify housing which meets these housing criteria and is within the range of Volunteer living allowance. The living allowance is intended to provide for the Volunteer's personal transport, food, clothing, and personal necessities and to maintain the same standard of living as their fellow community members.

The Step-by-step guide is intended to help partner organizations in identifying housing options that meet Peace Corps Housing Criteria.

## Housing Identification Steps

Once shortlisted, partner organizations should:

- Identify three potential host families, or one potential host family and one independent housing option. Please note that if you choose to provide independent housing option, its availability must be guaranteed upon the volunteer's arrival at the site. All housing options must meet Peace Corps Georgia Housing Criteria. To the extent possible, Peace Corps prefers independent housing options for Peace Corps Response Volunteers. Please, contact your Program Support Specialist if you are not able to locate at least one independent housing location that meets Peace Corps Georgia Housing Criteria.
- Fill out Housing Checklist for each independent housing option
- Fill out the Host Family Application Form and Housing Checklist for host family options and make sure all adult members of the family sign Authorization for Criminal Record Check.

# Peace Corps Georgia Housing Criteria

## Minimum and ***Desired*** Homestay Criteria for the Independent Housing

- ❑ All housing must be comparable to the community standards and must be in the same community where the Volunteer is assigned to work.
- ❑ The neighborhood must be reasonably well lighted, at least comparable to the rest of the residential areas of the community, and the premises should be safe.
- ❑ The housing must be solidly constructed of cement block, concrete, bricks, or solid wood walls. The house must be free of visible structural damage (for example, no large cracks on the walls or floor, the building is not leaning, etc.)
- ❑ The external doors should be metal or solid wood.
- ❑ A peep hole on an independent housing entrance door is required.
- ❑ All windows and balconies of an independent housing unit that is located on the first floor of the building must have metal bars installed.
- ❑ All windows and balconies of an independent housing unit that is located on the top floor of the building may be required to have metal bars installed (Will be decided upon inspection).
- ❑ All balconies of an independent housing unit must have a secure railing and all exterior doors and windows must have good working locks (Will be decided upon inspection).

- ❑ Independent housing units must have adequate lighting at the entrance.
- ❑ Electrical wiring in all types of housing must be in good condition with no visible breaks, burns, melts, or naked wiring. Electrical outlets and switches in the unit or room must be in working condition.
- ❑ The cooking area of the house must be safely maintained and stored, must be clear of unnecessary flammable material and be adequately ventilated for safety.
- ❑ If gas tanks/cylinders are used for cooking, then they must be placed outdoors. If outdoor placement is not possible then the tank is to be placed at least 1.5 meters from the stove, and two forms of air intake must be present in the room.
- ❑ If tankless gas heaters are used in the house for water heating purposes, then they should be of dual burning (the one that consumes oxygen from outside)
- ❑ Independent housing must have reliable cell phone coverage through either Geocell, Magti or Cellfie (formerly Beeline). A landline and internet would also be preferred but not required.
- ❑ Distance to the closest neighbor is within no more than 50m for rural and 30m for urban areas from the PCV's independent housing.
- ❑ Independent housing must be located within 45-minute walking distance from the Volunteer's workplace, unless it is located in Tbilisi, Kutaisi or Batumi.
- ❑ A reliable form of transportation is to be available to transport the Volunteer to their workplace within 45-60 minutes in the case of big cities Tbilisi, Kutaisi, and Batumi.

### Sanitation Requirements:

- ❑ The toilet facility must be located either inside the house/apartment or no further than 25 meters from the entrance.
- ❑ Housing should be generally dry, well ventilated, with adequate running water or a well.
- ❑ The house must not be in direct contact with chicken coup, pig pen, etc.

### Furnishing Requirements:

- ❑ The following furniture, at a minimum, must be provided by the landlord:
    - Bed with mattress
    - Table with a chair
    - Desk
    - Bookshelf
    - Lamp
    - Wardrobe
- ❑ For food preparation:
    - Cooking stove or a cooker
    - Sink with a drain stands or a small table.
    - Refrigerator

The Peace Corps housing criteria must be fully met, before Peace Corps approves it and the Volunteer is allowed to move in.

Minimum and ***Desired*** Homestay Criteria

| **LOCATION** |
|---|
| The residence is visible from the street or walking path and no more than 50m from the nearest occupied house. |
| Interviews with community members and/or police suggest area has a relatively low crime rate and is not near dangerous or high-risk areas (possible examples include bars, casinos, bus stations, etc.). |
| The residence has not been recently burglarized OR improvements have been made to avoid future burglaries. |
| The residence is within a reasonable distance (4 km safe walking distance or up to 20 km with reliable transportation) to the Volunteer's workplace. |
| *The residence is located within 4 km safe walking distance e to a store where basic food items can be purchased.* |
| HOUSE MATERIAL / TYPE OF HOUSE |
| The residence is solidly constructed of cement block, concrete, bricks, or solid wood walls. The house must be free of visible structural damage (e.g., no large cracks on the walls or floor, the building is not leaning, etc.) |
| *Outdoor lighting around the residence is recommended.* |
| COOKING SAFETY |
| The residence provides adequate space and equipment to safely cook meals and store cooking equipment. If propane tanks/cylinders are used for cooking, then they should be placed outdoors. If outdoor placement is not possible, the residence must have two air intakes in the room (preferably on separate walls) where the stove is located and sufficient space to allow the tanks to be placed at least 1.5m from the stove, and the Volunteer will be required to conduct monthly testing of cooking/gas equipment. In addition, all homes that use natural gas or propane for cooking or heating, must use a plug-in gas detector and fire extinguisher (the Volunteer will provide them). |
| A method of extinguishing a fire must be available in the kitchen area (e.g., a fire extinguisher or a bucket of sand). |
| The cooking area of the house must be free of pests (such as rodents or insect infestation). |
| *A functional refrigerator is available at the home.* |
| DOORS |
| All doors to the Volunteer's room must be made of a solid material and there must be a system in place to lock the door from the outside and the inside. |
| WINDOWS |
| All windows in the Volunteer's room must have solid frames that can be securely locked from the inside. Windows must be enhanced with a locally appropriate deterrent. |
| The windows of the Volunteer's room must have bars if the room is located on the ground floor and is in direct contact to the street or road (applicable to urban areas only). |
| ROOM FURNISHINGS |
| *There is basic furniture in the Volunteer's room, including bed, desk/table and chair, lamp, and a place to store clothing (wardrobe and/or dresser).* |
| ROOF |
| The roof must be made of solid material, be structurally sound, and must not leak. |
| The space between the top of the house's exterior walls and the roof must not allow intruders or pests to enter the house. |
| ELECTRICITY |

| |
|---|
| *Wiring in residence is in good condition with no visible breaks, burns, melts, or naked wiring. Electrical outlets and switches are in working condition.* |
| COMMUNICATION |
| The residence house must have reliable cell phone coverage through either Magti, Silknet, or Cellfie. |
| WATER & SANITATION |
| The latrine or toilet and bathing area must be located in the house or within 10m of the house. |
| If there is a latrine, it must be of sturdy construction (not of plastic sheeting or cloth) and meet basic hygiene standards. The latrine must be relatively clean, not full, and free of pests. |
| When the latrine and/or bathing area are separate from the house, they must have mechanisms on the inside to secure the door and they must provide adequate cover and privacy. |
| Residence must have year-round accessibility to a potable or treatable water source. If water shortages are normal, house must have proper storage tanks/barrels for emergency use. |
| *Facilities for heating water for a bath or shower are available at the home.* |
| *If tankless gas heaters are used in the house for water heating purposes, then they should be of the dual burning type (the one that consumes oxygen from outside).* |
| *Residence is free from visible signs of mold and/or pervasive small of mold.* |
| *Facilities for washing clothes are available at home.* |
| NATURAL DISASTERS |
| Residence is not at apparent risk for natural disasters (e.g., not on a flood plain, or near cliff edges or bases of landslide-prone hills, in the bottom of steep terrain or on the terrain itself, land that has been modified due to human activity, such as deforestation or construction, channels along a stream or river, etc.) |
| FAMILY SAFETY |
| The family has a good reputation in the community and all adult family members are willing to give authorization for Peace Corps to conduct a Criminal Record Check. |
| DISEASE AND INFECTION |
| No family members in the household have infectious diseases such as tuberculosis, etc. |
| All household pets have been vaccinated for rabies. |
| FAMILY INTEREST AND PREPAREDNESS |
| At least one adult member of the family expresses readiness to participate in Peace Corps sponsored orientations, trainings, and events |
| All adult family members will be available to meet with Peace Corps staff. |
| *Preferably (not required) at least one member of the family can speak a basic level of English.* |
| *All family members are enthusiastic about hosting a Volunteer.* |

## Allowance in case of Volunteer placement in a Host Family:

- ❑ Peace Corps pays Host Families a monthly allowance of 730 GEL, in return Host families should provide the Volunteer with welcoming environment, accommodation and daily food.
- ❑ Families also receive an additional 95 GEL per month (making it 825 GEL) for heating from October through March. Host families should make sure Volunteer stays warm during that period.

## The Housing Selection Process

After the submition of the host family/independent housing forms by the organization, the following steps will be taken:

- Peace Corps Georgia will screen the submissions from host partners following which the Program Support Specialist or a designated Peace Corps staff member will inspect housing options within 45 days prior to Volunteer arrival and provide you with the list of required upgrades, if any.
- If there is an upgrade needed, the apartment owner or host family should implement all requirements prior to Volunteer moving in and must provide photo evidence that all required upgrades have been completed.
- If no upgrades are required or required upgrades have been completed, Peace Corps will notify you which option has been selected and how the lease can be signed.

## Recommendations related to Homestay Program:

- Some of the above-mentioned criteria may not be in place currently or during the survey, but the family/Independent housing owner must agree that, in case Peace Corps approves their home for a Volunteer, they will complete the requested improvements before the Volunteer's arrival (e.g., install locks on the bedroom and bathroom doors, place desk and lamp in the bedroom, etc.)
- Once you decide to apply to host a Peace Corps Volunteer start to think of host family recruitment right away. Make an announcement to all the staff members of your school, regardless of their position as well as to pupils' parents.
- Please remember, that it is not allowed for the Volunteers to live with their supervisors and potential counterparts.
- Peace Corps encourages you to organize community meetings to spread the information to community members not related to the school. Remember, any interested family who satisfies selection criteria can host a Volunteer regardless of their affiliation to school, except for the above-mentioned limitations.
- Distribute the host family brochures to interested potential host families.
- In case of host families, make sure families submitted to Peace Corps are already aware of the basic conditions of the Homestay program and are truly willing to have PC Volunteer from 1 to 10 months in their homes.
- Make sure submitted host families understand that the payment of 730 GEL (825 GEL October March) is not rent, but an amount to help cover the costs of food, electricity, gas, water, etc.

- Make sure that there is a safe living environment at the family for Volunteer considering family members' lifestyle and background.

## საცხოვრებელი

### შესავალი

გზამკვლევი აპლიკანტ ორგანიზაციებს აწვდის ინფორმაციას მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეებისთვის საცხოვრებლის იდენტიფიცირებისა და შერჩევის პროცესზე. მშვიდობის კორპუსის მიზანია მოხალისეებს შესთავაზოს საცხოვრებელი ადგილი, რომელიც აკმაყოფილებს ჩვენი სააგანტოს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების კრიტერიუმებს და ამავე დროს შეესაბამება ადგილობრივი თემის ცხოვრების პირობებს. პარტნიორი ორგანიზაციისა და მშვიდობის კორპუსის თანამშრომლების მოვალეობაა იპოვონ ისეთი საცხოვრებელი, რომელიც აკმაყოფილებს სააგენტოს სტანდარტებს და არ აღემატება მოხალისეთა საცხოვრებელი ხარჯებისთვის გამოყოფილ თანხას. მშვიდობის კორპუსი მოხალისეებს უზრუნველყოფს სტიპენდიით, რომელიც განკუთვნილია ტრანსპორტის, საკვების, ტანსაცმლის და სხვა პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რათა მოხალისემ იცხოვროს ადგილობრივი თემის საცხოვრებელი სტანდარტების შესაბამისად.

ეს გზამკვლევი მიზნად ისახავს პარტნიორ ორგანიზაციებს დაეხმაროს ისეთი საცხოვრებლის შერჩევაში, რომელიც შეესაბამება მშვიდობის კორპუსის კრიტერიუმებს.

### საცხოვრებლის იდენტიფიცირების ეტაპები

განაცხადების პირველადი გადახედვის შემდეგ, შერჩეულმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა:

- უნდა მოიძიონ სამი პოტენციური მასპინძელი ოჯახი, **ან** ერთი პოტენციური მასპინძელი ოჯახი და ერთი დამოუკიდებელი საცხოვრებელი. გაითვალისწინეთ, დამოუკიდებელი საცხოვრებლის წარმოდგენა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებლად იქნება ხელმისწავდომი მოხალისის თემში განთავსების დროს. ყველა წარმოდგენილი საცხოვრებელი **უნდა აკმაყოფილებდეს მშვიდობის კორპუსის საცხოვრებლის შერჩევის კრიტერიუმებს.** მშვიდობის კორპუსი უპირატესობას ანიჭებს დამოუკიდებელ საცხოვრებელს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. იმ შემთხვევაში თუ ვერ ახერხებთ სულ მცირე ერთი დამოუკიდებელი საცხოვრებლის პოვნას, რომელიც აკმაყოფილებს მშვიდობის კორპუსის კრიტერიუმებს, დაუკავშირდით პროგრამის სპეციალისტს.
- თითოეული შემოთავაზებული დამოუკიდებელი საცხოვრებლისთვის შეავსონ კითხვარი
- შეავსონ მასპინძელი ოჯახის სააპლიკაციო ფორმა, საცხოვრებლის კითხვარი და ოჯახის ყველა ზრდასრულ წევრს ხელი მოაწერინონ ნებართვაზე ნასამართლეობის შესახებ ცნობის მისაღებად.

### დამოუკიდებელი საცხოვრებლის კრიტერიუმები

#### უსაფრთხოების მინიმალური კრიტერიუმები

- [ ] ყველა საცხოვრებელი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმებს, უნდა თანხვდებოდეს ადგილობრივი თემის საცხოვრებელ პირობებს და უნდა იყოს იმავე თემში, სადაც მოხალისე იმუშავებს.

- ❑ სამეზობლო უნდა საკმარისად განათებული და უნდა შეესაბამებოდეს სხვა საცხოვრებელი უბნების განათებას.
- ❑ საცხოვრებელი ადგილი უნდა იყოს უსაფრთხო.
- ❑ შენობა უნდა იყოს მყარად ნაშენი აგურით; ცემენტითა და ბლოკით, ან მყარი ხის კონსტრუქციითა და კედლებით. შენობა არ უნდა იყოს ავარიული და ხილული სტრუქტურული დაზიანებით (მაგალითად, კედლებსა და იატაკზე ბზარებით და არ უნდა იყოს გადახრილი).
- ❑ შენობაში შესასვლელი მთავარი კარი უნდა იყოს რკინის ან მასიური ხის.
- ❑ მთავარ კარს უნდა ჰქონდეს ჭუჭრუტანა (გარდა მასპინძელის ოჯახის საცხოვრებლისა).
- ❑ იმ შემთხვევაში თუ მოხალისის პოტენციური საცხოვრებელი განთავსებულია პირველ სართულზე, შესაძლოა აუცილებელი იყოს ყველა ფანჯარასა და აივანზე გისოსების დაყენება (დადგინდება მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლის ვიზიტის შემდგომ)
- ❑ იმ შემთხვევაში თუ პოტენციური საცხოვრებელი შენობის ბოლო სართულზეა, შესაძლოა აუცილებელი იყოს გისოსების დაყენება აივნებსა და ფანჯრებზე (დადგინდება მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლის ვიზიტის შემდგომ).
- ❑ შენობის ყველა აივნის, ფასადის კარისა და ფანჯრის საკეტი გამართულად უნდა მუშაობდეს.
- ❑ სახოვრებლის შესასვლელი უნდა იყოს კარგად განათებული (მაგალითად, სანათი სადარბაზოში).
- ❑ ელექტროობის ქსელები უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში, არ უნდა იყოს დაზიანებული მავთულები, დამწვარი და დამდნარი ადგილები, შიშველი კაბელები. ყველა ჩამრთველი და როზეტი უნდა იყოს მწყობრში.
- ❑ საკვების მოსამზადებელი სივრცე უნდა იყოს უსაფრთხო, არ უნდა იყოს აალებადი მასალით გარემოცული და უნდა ნიავდებოდეს.
- ❑ გაზის ბალონის გამოყენების შემთხვევაში, ბალონი უნდა მოთავსდეს ღია სივრცეში. ბალონის მოთავსება თუ ღია სივრცეში არ არის შესაძლებელი, მაშინ ის მინიმუმ 1.5 მეტრით უნდა იყოს დაშორებული ქურისგან.
- ❑ წყლის გამაცხელებელი უნდა იყოს ორმაგი წვის კამერით (ჟანგბადს უნდა იღებდეს გარე წყაროდან).
- ❑ სახლში კარგი მიღება უნდა ჰქონდეს მაგთის, ჯეოსელის ან სელფის (ყოფილი ბილაინი) ქსელებს. ინტერნეტის ქონა სასურველი იქნებოდა, მაგრამ არ არის აუცილებელი.
- ❑ უახლოესი მეზობლის საცხოვრებელი უნდა იყოს არაუშორეს 50 მეტრისა და ადვილად მისადგომი უნდა იყოს ფეხით.
- ❑ საცხოვრებელი ადგილიდან მოხალისის სამსახურამდე ფეხით მისვლა შესაძლებელი უნდა იყოს 45 წუთში, გარდა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმისა.
- ❑ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის შემთვევაში საცხოვრებლიდან სამსახურამდე ტრანსპორტით მისვლა შესაძლებელი უნდა იყოს 45-60 წუთში.

### სანიტარული კრიტერიუმები:

- ❑ საპირფარეშო განთავსებული უნდა იყოს სახლში/ბინაში, ან შესასვლელიდან 25 მეტრში.

- ❑ სახლი უნდა იყოს მშრალი, კარგად განიავებადი, წყლის ქსელი ან ჭა ხელმისაწვდომი უნდა იყოს.
- ❑ სახლი არ უნდა ესაზღვრებოდეს ცხოველთა სადგომებსა და ფეკალიებს.

**ავეჯის კრიტერიუმები:**

- ❑ ბინის მეპატრონემ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ავეჯი:
  - საწოლი, მატრასით
  - მაგიდა, სკამით
  - საწერი მაგიდა
  - წიგნის თარო
  - სანათი
  - ტანსაცმლის კარადა
- ❑ საკვების მომზადებისთვის:
  - ღუმელი ან ქურა.
  - საკანალიზაციო ქსელზე მიერთებული სამზარეულოს ნიჟარა.
  - მაცივარი

მშვიდობის კორპუსის კრიტერიუმები სრულად უნდა შესრულდეს, მანამ სანამ მოხალისე გადავა საცხოვრებელში.

## მასპინძელი ოჯახის შერჩევის მინიმუმი და სასურველი კრიტერიუმები

| **ადგილმდებარეობა** |
|---|
| საცხოვრებელი სახლი კარგად ჩანს ქუჩიდან ან ფეხით მოსიარულე ბილიკიდან და მდებარეობს არაუმეტეს 50 მეტრის მოშორებით უახლოესი დასახლებული პუნქტიდან. |
| თემის წევრებთან და/ან პოლიციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ უბანს, სადაც მდებარეობს საცხოვრებელი სახლი, აქვს დანაშაულის დაბალი მაჩვენებელი და არ მდებარეობს სახიფათო ან მაღალი რისკის ზონებთან ახლოს (შესაძლო მაგალითებია ბარი, კაზინო, ავტობუსის სადგურები და ა.შ.). |
| უახლოეს წარსულში, საცხოვრებელ სახლში არ მომხდარა ძარცვა/ ყაჩაღობა ან უსაფრთხოების კუთხით სახლი კეთილმოეწყო  მომავალში ძარცვის/ ყაჩაღობის საფრთხის შესამცირებლად. |
| მოხალისის საცხოვრებელი ადგილიდან მის სამუშაო ადგილამდე ფეხით სავალი მანძილი არ აღემატება 4 კმ-ს, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში - 20 კმ-ს. |
| *საცხოვრებელი სახლი განთავსებულია არაუმეტეს 4 კმ-ის დაშორებით მაღაზიიდან, სადაც ელემეტარული საკვების შეძენა არის შესაძლებელი.* |
| **სახლის მასალა/სახლის ტიპი** |
| სახლი უნდა იყოს აშენებული მყარი მასალისაგან, რომელიც საკმარისად გამძლეა უცხო პირის შემოჭრისგან თავიდან ასარიდებლად (მაგალითად: ცემენტის ბლოკი, ბეტონი, ტალახის აგური, აგური ან მყარი ხის კედლები). |
| ღამით რეკომენდებულია გარე განათება საცხოვრებელი სახლის გარშემო. |
| **სამზარეულოს უსაფრთხოება** |
| მოხალისის საცხოვრბელში არის შესაბამისი სივრცე და აღჭურვილობა საჭმლის უსაფრთხოდ მოსამზადებლად და აღჭურვილობის შესანახად. თუ სამზარეულოში გამოიყენება პროპანის/გაზის ბალონები, ისინი უნდა იყოს მოთავსებული ღია სივრცეში. თუ მათი განთავსება გარეთ |

| |
|---|
| შეუძლებელია, აუცილებელია, სამზარეულოს ჰქონდეს ჰაერის მიმოქცევის ორი წყარო, სასურველია, სხვასასხვა კედელზე, და საკმარისი ადგილი, რომ პროპანის, გაზის ბალონი განთავსდეს გაზქურიდან მინიმუმ 1.5 მეტრის მოშორებით. მოხალისეს დაევალება სამზარეულოს/ბუნებრივი აირის აღჭურვილობის ყოველთვიური შემოწმება. ამასთან ერთად, სახლებში, სადაც გამოიყენება ბუნებრივი აირი ან პროპანის ბალონები საკვების მოსამზადებლად ან გასათბობად, უნდა იყოს განთავსებული ბუნებრივი აირის დეტექტორი და ცეცხლმაქრი საშუალება, რომლებსაც მოხალისე მოიტანს. |
| სამზარეულო თავისუფალი უნდა იყოს მავნებლებისგან (მაგალითად მღრღნელების ან მწერების გროვისგან). |
| *სახლში უნდა იყოს მოქმედი მაცივარი.* |
| **კარი** |
| მოხალისის ოთახის ყველა კარი დამზადებული უნდა იყოს მყარი მასალისგან და უნდა ჰქონდეს საკეტი, რომელიც დაკეტავს კარს როგორც გარედან, ისე შიგნიდან. |
| **ფანჯრები** |
| ფანჯრებს უნდა ჰქონდეს მყარი ჩარჩო, რომელიც საიმედოდ დაიკეტება შიდა მხრიდან. ფანჯრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილობრივი თემისთვის შესაფერისი შემაკავებლით. |
| მოხალისის ოთახის ფანჯრები აღჭურვილი უნდა იყოს გისოსებით იმ შემთხვევაში, თუ ოთახი მდებარეობს პირველ სართულზე და ფანჯრები გადის პირდაპირ ქუჩაში ან გზაზე (მხოლოდ ურბანული დასახლებებისთვის) |
| **ავეჯი ოთახში** |
| *მოხალისის ოთახში უნდა იყოს ელემენტარული ავეჯი, როგორიცაა საწოლი, მაგიდა, სკამი, ნათურა და კარადა ტანსაცმლის შესანახად.* |
| **სახურავი** |
| სახურავი მყარი მასალით უნდა იყოს დამზადებული და არ უნდა ჟონავდეს. |
| სივრცე სახლის გარე კედელსა და სახურავს შორის არ უნდა იძლეოდეს სახლში შემოჭრის ან მავნებლების შემოსვლის საშუალებას. |
| **ელექტრობა** |
| *ელექტრო გაყვანილობა უნდა იყოს უსაფრთხო, არ უნდა აღენიშნებოდეს დაზიანებული, დამწვარი, დამდნარი ან მოშიშვლებული მონაკვეთები. ელექტრო ჩამრთველები და როზეტები უნდა იყოს მოქმედ მდგომარეობაში.* |
| **კომუნიკაცია** |
| საცხოვრებელ სახლს უნდა გააჩნდეს სანდო მობილური დაფარვის ზონა Magti, Silknet, ან Cellfie-ს ქსელებისთვის. |
| **წყალი – სანიტარია** |
| საპირფარეშო და სააბაზანო სივრცე უნდა მდებარეობდეს სახლში ან არაუმეტეს 10 მეტრის დაშორებით სახლიდან. |
| თუ სახლში არის გარე (ეზოს) საპირფარეშო, ის უნდა იყოს მყარი კონსტრუქციის (არა პლასტმასის ან ქსოვილის), და უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენის ძირითად სტანდარტებს. საპირფარეშო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სუფთა, არ უნდა იყოს სავსე და არ უნდა ბინადრობდნენ მავნებლები. |
| თუ საპირფარეშო და სააბაზანო სივრცე სახლიდან ცალკე მდებარეობს, ისინი საიმედოდ უნდა იკეტებოდეს შიგნიდან და გარედან. გარედან შიგნით შეხედვის საშუალება არ უნდა არსებობდეს. |

| |
|---|
| თუ წყალი ხშირად წყდება, სახლს უნდა ჰქონდეს წყლის ავზი საგანგებო შემთხვევებში გამოსაყენებლად. სახლში მთელი წლის განმავლობაში უნდა არსებობდეს სასმელი წყლის დასამუშავებელი / გასაწმენდი საშუალება. |
| *სახლში უნდა არსებობდეს აბაზანისთვის ან შხაპისთვის წყლის გაცხელების საშუალებები.* |
| *თუ წყლის გაცხელების უავზო საშუალებები გამოიყენება სახლში, მათ უნდა გააჩნდეთ ორმაგი წვის ფუნქცია (ქანგბადს უნდა იღებდნენ გარედან).* |
| *სახლში არ უნდა იყოს ნესტის ნიშნები.* |
| *სახლში უნდა იყოს ტანსაცმლის გარეცხვის საშუალება.* |
| **ბუნებრივი კატასტროფები** |
| სახლი არ უნდა მდებარეობდეს ბუნებრივი კატასტროფების აშკარა რისკის ზონაში (მაგ: დატბორილ ვაკეზე, კლდის ციცაბო ფერდობზე ან მიწის ჩამოშლის საშიშროების ზონაში, ციცაბო ფერდობის ძირში ან თვითონ ფერდობზე, მიწაზე, რომელმაც სახე იცვალა ადამიანის აქტივობის შედეგად, მაგალითად, ტყის გაჩეხვა ან მშენებლობა, არხები ან კალაპოტ-შეცვლილი მდინარეები და ასე შემდეგ.) |
| **ოჯახის უსაფრთხოება** |
| ოჯახს თემში უნდა ჰქონეს კარგი რეპუტაცია და ოჯახის ყველა ზრდასრულმა წევრმა თანხმობა უნდა განახცადოს ნასამართლეობის შემოწმებაზე. |
| **ავადმყოფობა და ინფექციები** |
| ოჯახის წევრები არ არიან დაავადებული ინფექციური ავადმყოფობებით, როგორიცაა ტუბერკულოზი და ასე შემდეგ. |
| სახლის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა შინაური ცხოველი აცრილი უნდა იყოს ცოფზე. |
| **ოჯახის მოტივაცია და მომზადება** |
| ოჯახის ერთი ზრდასტული წევრი მაინც უნდა გამოთქვამდეს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს მშვიდობის კორპუსის მიერ ორგანიზებულ ორიენტაციებში, ტრენინგებსა და ღონისძიებებში. |
| ოჯახის ყველა ზრდასრულ წევრს უნდა შეეძლოს, შეხვდეს მშვიდობის კორპუსის თანამშრომლებს. |
| *სასურველია (და არა სავალდებულო), რომ ოჯახის ერთი წევრი მაინც საუბრობდეს ინგლისურ ენაზე საბაზისო დონეზე.* |
| *ოჯახის ყველა წევრი ენთუზიაზმით უნდა ეკიდებოდეს მშვიდობის კორპუსის მოხალისის მასპინძლობას.* |

## სტიპენდია:

- ❑ მშვიდობის კორპუსი მასპინძელ ოჯახს ყოველთვიურად უხდის 730 ლარს, რის ფარგლებშიც მასპინძელმა ოჯახმა უნდა მიიღოს მოხალისე როგორც ოჯახის წევრი და უზრუნველყოს ის საცხოვრებელი პირობებითა და ყოველდღიური კვებით.
- ❑ ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით ოჯახები ყოველთვიურად დამატებით 95 ლარს (საერთო ჯამში 825 ლარს) მიიღებენ გათბობის ხარჯების დასაფარად. მასპინძელი ოჯახი უნდა დარწმუნდეს, რომ მოხალისის ოთახი საკმარისად თბება აღნიშნული თვეების განმავლობაში.

## საცხოვრებლის შერჩევის პროცესი

მასპინძელი ოჯახის/დამოუკიდებელი საცხოვრებლის შევსებული ფორმების წარმოდგენის შემდგომ, განხორციელდება შერჩევის შემდგომი ეტაპები:

- მშვიდობის კორპუსი განიხილავს პარტნიორი ორგანიზაციების მოწოდებულ დოკუმენტებს და პროგრამის მხარდაჭერის სპეციალისტი ან მშვიდობის კორპუსის სხვა უფლებამოსილი წარმომადგენელი ჩავა თითოეულ თემში შემოთავაზებული საცხოვრებლების დასათვალიერებლად. ვიზიტი დაინიშნება მოხალისეების ჩამოსვლამდე 45 დღით ადრე.
- იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდება გარკვეული ცვლილებების შეტანა საცხოვრებელში, მაშინ მშვიდობის კორპუსი მოგაწვდით შესატანი ცვლილებების სიას და გთხოვთ, რომ გაუგზავნოთ შესრულების დამადასტურებელი ფოტო მტკიცებულებები.
- იმ შემთხვევაში თუ საჭირო არ არის ცვლილებები, ან უკვე გამოსწორებულია ხარვეზები, მშვიდობის კორპუსი მოგაწვდით ინფორმაციას, რომელი საცხოვრებელი ადგილი შეირჩა მოხალისისთვის და როგორ გაფორმდება ხელშეკრულება.

## მასპინძელი ოჯახების პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

- დასაშვებია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ოჯახს/დამოუკიდებელი საცხოვრებლის მფლობელს არ ჰქონდეს უზრუნველყოფილი ისეთი კრიტერიუმები, რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლებელია მისი შერჩევის შემდეგაც. თუმცა ოჯახს/დამოუკიდებელი საცხოვრებლის მფლობელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ თუკი მშვიდობის კორპუსი გადაწყვეტს მოხალისის განთავსებას აღნიშნულ საცხოვრებელში, მათ აუცილებლად უნდა დააკმაყოფილონ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი მოხალისის თემში ჩამოსვლამდე. (მაგალითად, მოხალისის საძინებლის კარზე საკეტი, საწერი მაგიდა მოხალისის ოთახში და ა. შ)
- მას შემდეგ, რაც გადაწყვეტთ მშვიდობის კორპუსის მოხალისეზე განაცხადის შემოტანას მაშინვე დაიწყეთ მასპინძელი ოჯახების შერჩევაზე ფიქრი. ინფორმაცია გაავრცელეთ როგორც სკოლის ყველა თანამშრომელს, ასევე მოსწავლეების მშობლებს შორის;
- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მოხალისეს არ შეუძლია მისი დირექტორის და პარტნიორი ინლისური ენის მასწავლებლის ოჯახში ცხოვრება;
- მშვიდობის კორპუსი მოგიწოდებთ, რომ გამართოთ სათემო შეხვედრები სკოლის გარეთ თემის წევრებს შორის ინფორმაციის გასავრცელებლად. გახსოვდეთ, ნებისმიერ დაინტერესებულ ოჯახს, რომელიც აკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს შეუძლია უმასპინძლოს მოხალისეს გარდა ზემოთ აღნიშნული შეზღუდვებისა.
- გაავრცელეთ მასპინძელი ოჯახის ბროშურები დაინტერესებულ პოტენციურ მასპინძელ ოჯახებს შორის;
- დარწმუნდით, რომ იმ მასპინძელ ოჯახებს, რომლებსაც მშვიდობის კორპუსს წარმოუდგენთ კარგად ესმით მასპინძელი ოჯახის პროგრამის მთავარი პირობები და ნამდვილად სურთ მოხალისის მასპინძლობა 1-დან 10 თვემდე თავიანთ ოჯახებში.
- დარწმუნდით, რომ წარმოდგენილ ოჯახებს ესმით, რომ 730 ლარი (825 ლარი ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით) არაა ბინის ქირა, არამედ ეს არის თანხა იმისათვის, რომ ოჯახმა დაფაროს კვების, ელექტროენერგიის, გაზის, წყლისა და ა.შ. ხარჯები.
- დარწმუნდით, რომ წარმოდგენილ მასპინძელ ოჯახებში არსებული საცხოვრებელი გარემო მისივე წევრების ცხოვრების წესიდან და წარსულიდან გამომდინარე იქნება მაქსიმალურად უსაფრთხო მოხალისისათვის.

# HOW TO REQUEST A RESPONSE VOLUNTEER

## APPLICATION PROCESS

### Stage I: Submission of a Peace Corps Response Volunteer Request Form

The request form outlines several general questions regarding the organization and some specific questions concerning the nature of the desired collaboration. Please outline how Response Volunteer can support the organization and specify in which areas and fields.

Example: Volunteer will assist the organization in increasing staff capacity in project management; Volunteer will help us to design English language curriculum; Volunteer will help our department to develop a program, etc.

These descriptions will help us to determine how a Peace Corps Volunteer can help you achieve organizational goals.

In the request form, a special section will be devoted to a statement of needs and priority list of target activities. Please pay particular attention to this part. Peace Corps wants to learn more about the reasons for requesting a Response Volunteer.

Please keep in mind that we are open to a wide range of assignments, but our priority areas include English education, organizational development, institutional development, youth development and empowerment, community development, social projects that support to vulnerable groups, such as women, ethnic Minorities, internally displaced people, or others.

During the stage, interested institutions/organizations will be invited to participate in the "Open House" online to register initial interest, clarify any questions regarding the application process. If you are interested to apply for a Response Volunteer, register for the "Open House" online meeting here.

### Stage II: Project/Position Description (PD) Discussions and Housing Application Submission

Applications will be screened and selected for the second stage in the site identification process. After the application is selected, we start the process of developing Project Descriptions jointly with the organizations. The PD outlines Response Volunteer project objectives, duties and responsibilities, qualification requirements, working and living conditions, and others.

Development of the Project Descriptions will be conducted in online or hybrid format in collaboration with the Response Program Manager and Program Specialist. PD is an important role in the process of recruitment. Based on this document, Peace Corps Headquarters in Washington recruits Volunteers. The final draft PD is sent to Washington, D.C. where Response Program representatives review the PD and provide their feedback. The feedback is discussed internally in Peace Corps and PD is finalized.

During this stage we expect potential educational institutions and organizations to submit housing applications (application form will be sent to the shortlisted candidates).

## როგორ მოვიწვიოთ მოხალისე

### განაცხადის პროცესი

### I ეტაპი: მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისის მოთხოვნის განაცხადის ფორმის შემოტანა

განაცხადის ფორმაში მოცემულია ორგანიზაციასთან და მოხალისის როლთან დაკავშირებული რამდენიმე შეკითხვა. გთხოვთ, დეტალურად გასცეთ პასუხი შესაბამის შეკითხვებს და ჩამოაყალიბოთ მინიმუმ ზოგადი იდეა მაინც იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლია მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეს თქვენი ორგანიზაციის დახმარება; ასევე დააკონკრეტეთ სფეროები.

**მაგალითი:** მოხალისე ორგანიზაციას დაეხმარება პროექტის მართვის კუთხით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში; მოხალისე ორგანიზაციას დაეხმარება ინგლისური ენის კურიკულუმის შემუშავებაში; მოხალისე ჩვენს განყოფილებას დაეხმარება პროგრამის შემუშავებაში და ა.შ.

ამ ინფორმაციის საშუალებით განვსაზღვრავთ, თუ რა ფორმით შეიძლება დაგეხმაროთ მშვიდობის კორპუსის მოხალისე თქვენი ორგანიზაციული ამოცანების შესრულებაში.

განაცხადის ფორმაში, სპეციალური ნაწილი დაეთმობა საჭიროებების და მიზნობრივი აქტივობების პრიორიტეტების ჩამონათვალს. გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოთ ამ ნაწილზე. მშვიდობის კორპუსს უნდა, რომ მეტი გაიგოს იმის შესახებ, თუ რატომ გსურთ მიზნობრივი მხადაჭერის პროგრამის მოხალისეთან თანამშრომლობა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ მრავალი მიმართულებით ვმუშაობთ, მაგრამ ჩვენი პრიორიტეტული სფეროები შემდეგია: ინგლისური ენის სწავლება, ორგანიზაციული განვითარება, გენდერი, ახალგაზრდები, ტექნოლოგიები, მოწყვლადი ჯგუფების დახმარება, ისეთების როგორიცაა ეთნიკური უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვა.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს/საგანმანათლებლო დაწესებულებებს ვიწვევთ ონლაინ ღია კარის დღეზე. ამ შეხვედრის დროს შეგიძლიათ გამოხატოთ პროექტში ჩართვის ინტერესი და დასვათ აპლიკაციის პროცესთან დაკავშირებული კითხვები. თუ გსურთ, მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისის მოთხოვნა, დარეგისტრირდით ონლაინ შეხვედრაზე ამ ბმულზე.

### II ეტაპი: პროექტის/ პოზიციის აღწერილობის (PD) განხილვა და საცხოვრებლის შესახებ განაცხადის შევსება

აპლიკაციის შერჩევის შემდეგ, ვიწყებთ ორგანიზაციებთან ერთად სტანდარტული პროექტის აღწერილობის განახლებას ან ახალი სპეციალური პროექტის აღწერის შედგენის პროცესს. პროექტის აღწერილობაში შედის ისეთი საკითხები, როგორიცაა პროექტის მიზნები, მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო, საცხოვრებელი პირობები და სხვა.

პროექტის/პოზიციის აღწერილობას მნიშვნელოვანი როლი აქვს მოხალისის შერჩევის პორცესში. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით მშვიდობის კორპუსის სათაო ოფისი ვაშინგტონში არჩევს მოხალისეებს.

პროექტის/პოზიციის აღწერილობა **ონლაინ ან პირისპირ შეხვედრებისას** შემუშავდება მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერთან და პროგრამის სპეციალისტთან თანამშრომლობით. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით მშვიდობის კორპუსი ვაშინგტონში შეარჩევს მოხალისეებს. პროექტის/პოზიციის აღწერილობის საბოლოო სამუშაო ვერსია იგზავნება ვაშინგტონში, სადაც მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის წარმომადგენლები განიხილავენ დოკუმენტს და გამოგზავნიან უკუკავშირს. უკუკავშირს განიხილავს მშვიდობის კორპუსი ადგილობრივი ოფისი და შეიმუშავებს დოკუმენტის საბოლოო ვერსიას.

**გაითვალისწინეთ, რომ ამ ეტაპზე თქვენ უნდა მოგვაწოდოთ შევსებული ფორმები საცხოვრებლის შესახებ (სააპლიკაციო ფორმა გაეგზავნებათ იმ კანდიდატებს, რომლებიც გადალახავენ პირველ ეტაპს).**

## Stage III: Site Survey Visit

After the PD development and approval process, the Response Program Manager will visit the organization, to further evaluate that the site complies with the minimum criteria for site selection. During the visit, the Program Manager will meet with staff members, specifically Volunteer Counterpart and Supervisor, discuss roles and responsibilities outlined in the Position Description, validate information from the Volunteer Request form, complete the site survey form and answer question from the meeting participants.

## Stage IV: Recruitment of a Response Volunteer

Please consider that recruitment takes time. Identified candidates go through the application process, along with the medical and legal clearance. Recruiters also conduct a reference check; and when all processes are finalized, they send an invitation to a candidate.

The process of selection might take up to nine months. The process might be even more prolonged if there are not that many candidates whose work experience and education are strongly related to qualification requirements outlined in the position description. In addition, the candidates can be highly competitive, and they might have other opportunities besides Peace Corps, so in certain situations they might opt out and reject the invitation. The Response Program Manager will update surveyed organizations regularly about the status of their requests/positions and important deadlines.

## Stage V: Housing Selection

You will work closely with Program Support Specialist through whole housing identification and selection process.

At Stage II of the application process, organizations/educational institutions submit three applications for potential host family or application of one potential host family and one independent housing option. If you choose to provide independent housing option, you must guarantee its availability upon the volunteer's arrival at the site. Make sure that host families are willing to host a Volunteer for a minimum of 4-6 weeks, and if agreed mutually between the host family and a Volunteer, potentially for 10 months.

During this stage, Program Support Specialist will coordinate with you a survey visits to the host families/independent housing options, to check the compatibility with Peace Corps criteria and brief the host family members of Peace Corps regulations.

## III ეტაპი: თემში ვიზიტი

პროექტის/პოზიციის აღწერილობის შედგენისა და დადასტურების პროცესის შემდეგ, პროგრამის მენეჯერი ორგანიზაციას ეწვევა, რათა დარწმუნდეს, რომ ორგანიზაცია ზემოთ აღწერილ მინიმალურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ეს ვიზიტი მოიცავს კითხვარის შევსებას და მოხალისის მოთხოვნის ფორმაში მოცემული ინფორმაციის შემოწმებას, თანამშრომლებთან შეხვედრას (კონკრეტულად მოხალისის პარტნიორსა და ხელმძღვანელთან), ორგანიზაციის უკეთ გაცნობას, როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ მსჯელობასა და მონაწილეთა კითხვებზე პასუხს.

## IV ეტაპი: მოხალისის შერჩევა

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მოხალისეების შერჩევა დროს მოითხოვს. შერჩეული კანდიდატები გადიან ხანგრძლივ სააპლიკაციო პროცესს, რომელიც აპლიკაციის ფორმის შევსების და ინტერვიუს გარდა, ასევე მოიცავს სამედიცინო და უსაფრთხოების შემოწმებას. დამატებით, კადრების სპეციალისტები უკავშირდებიან კანდიდატების რეკომენდატორებს. ყველა შესაბამისი პროცესის დასრულების შემდეგ, კანდიდატს ეგზავნება მოწვევა.

შერჩევის პროცესს შეიძლება 9 თვე დასჭირდეს. პროცესი შეიძლება კიდევ გახანგრძლივდეს, თუ ვერ მოიძებნა შესაბამისი კანდიდატები, რომელთა სამუშაო გამოცდილება და განათლება შეესაბამება პროექტის/პოზიციის აღწერილობაში გაწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთანავე, კანდიდატები შესაძლოა ძალზედ კონკურენტუნარიანები აღმოჩნდნენ და მშვიდობის კორპუსის გარდა სხვა შეთავაზებებიც ჰქონდეთ, ასე რომ რიგ შემთხვევებში კანდიდატებმა შეიძლება გადაიფიქრონ და უარი განაცხადონ მოწვევის მიღებაზე. მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერი რეგულარულად მიაწოდებს სიახლეებს ორგანიზაციებს მათი მოთხოვნის/პოზიციების სტატუსისა და მნიშვნელოვანი ვადების შესახებ.

## V ეტაპი: საცხოვრებლის შერჩევა

მასპინძელი სკოლები თუ ორგანიზაციები მშვიდობის კორპუსის პროგრამის სპეციალისტებთან ერთად იმუშავებენ მოხალისეებისათვის საცხოვრებლის იდენტიფიკაციისა და შერჩევის პროცესზე.

სააპლიკაციო პროცესის II ეტაპზე ორგანიზაცია/საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, წარმოადგინოს სამი მასპინძელი ოჯახის ან ერთი მასპინძელი ოჯახისა და ერთი დამოუკიდებელი საცხოვრებლის კანდიდატურა. დამოუკიდებელი საცხოვრებლის წარმოდგენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის ნამდვილად იქნება ხელმისაწვდომი მოხალისის თემში ჩასვლის დროს. დარწმუნდით, რომ ოჯახები მზად არიან, უმასპინძლონ მშვიდობის კორპუსის მოხალისეს ერთიდან ათი თვის განმავლობაში.

ამ ეტაპზე პროგრამის მხარდაჭერის სპეციალისტი თქვენთან თანამშრომლობით ესტუმრება პოტენციურ მასპინძელ ოჯახს/დამოუკიდებელ საცხოვრებელს, რომ დარწმუნდეს მშვიდობის კორპუსის სტანდარტებთან არებულ შესაბამისობაში და მასპინძელ ოჯახებს გააცნოს ინფორმაცია მშვიდობის კორპუსისა და მისი მოლოდინების შესახებ.

## Stage VI: Signing Memorandum of Understanding (MOU)

Organizations will need to sign a Memorandum of Understanding (MOU) with Peace Corps to officially become a Partnering Organization. A copy of the MOU in English will be provided to you upon your request during the application process. The MOU should be signed before a Response Volunteer arrives at site.
**Please note, that educational institutions do not need to sign a MOU, as these partnerships are covered within an umbrella MOU between the Ministry of Education and Science of Georgia and Peace Corps.*

## VI: თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა

ორგანიზაციებმა ხელი უნდა მოაწერონ მშვიდობის კორპუსთან თანამშრომლობის მემორანდუმზე, რათა ოფიციალურად მიენიჭოთ პარტნიორი ორგანიზაციის სტატუსი. თანამშრომლობის მემორანდუმის ინგლისურენოვანი ასლი გადმოგეცემათ სააპლიკაციო პროცესში. თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი უნდა მოეწეროს მოხალისეების საქართველოში ჩამოსვლამდე.

მოხალისსის მოთხოვნის პროცესის უკეთ წარმოსადგენად, გთხოვთ იხილოთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

Peace Corps
GEORGIA

*As you consider applying, please consider the following instructions:*

1. Be sure to read the information in the attached packet carefully.
2. Register for the online Open House meeting to register your initial interest, clarify questions regarding the application process. The Open House will be held online on October 16, 15:00.
3. Fill out the Request for a Peace Corps Volunteer form fully.
4. State clearly on the Request for a Peace Corps Volunteer Form how the organization or community group will benefit from participation in Peace Corps' Response Program
5. Include specific activities, tasks you would like to collaborate on with the Volunteer throughout September 2026 – June 2027.
6. E-mail the form to GE-ResponseProgram@peacecorps.gov or deliver it to the Peace Corps office in Tbilisi: 118 Sairme Street, 0125, Tbilisi, Georgia.

The deadline for the submission of request forms is November 3, 2025.

*თუ თქვენი ორგანიზაცია ან თემი დაინტერესებულია მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისის მოწვევით:*

1. ყურადღებით გაეცანით საინფორმაციო დანართში მოცემულ ინფორმაციას;
2. დარეგისტრირდით ონლაინ ღია კარის დღეზე ამ ბმულზე. ღია კარის დღე ჩატარდება ონლაინ **16 ოქტომბერს, 15:00 საათზე.**
3. შეავსეთ მშვიდობის კორპუსის მოხალისის მოსაწვევი განაცხადის ფორმა **სრულად**;
4. მოხალისის მოსაწვევ ანკეტაში განმარტოთ მოხალისის მოწვევის მიზანი და თუ როგორ დაეხმარება მოხალისესთან თანამშრომლობა ორგანიზაციას ან სათემო ჯგუფს;
5. აპლიკაციის ფორმას თან დაურთეთ მინიმუმ ერთი მასპინძელი ოჯახის მონაცემები;
6. შევსებული ანკეტა გამოაგზავნეთ მისამართზე GE-ResponseProgram@peacecorps.gov ან მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის თბილისის ოფისში მისამართზე: საირმის ქ. 118 თბილისი 0125, საქართველო

საბუთების მიღების საბოლოო ვადაა **3 ნოემბერი, 2025.**

# Frequently Asked Questions (FAQs)

## Who are the Response Volunteers?

Volunteers are men and women, young and old, who come from diverse ethnic backgrounds and have a wide range of experiences.

## Who can request a Response Volunteer?

Response Volunteers in Georgia have been assigned to and support at local, regional, and central level.  The following institutions/organizations with clear need and interest for collaboration can request a Response Volunteer: schools, vocational colleges, universities, Education Resource Centers (ERCs), non-governmental organizations (NGO), civil society organizations (CSO), professional associations, local self-governments, regional government administrations, Legal Entities of Public Law (LEPL), Ministry departments.

*Note: For-profit institutions are not eligible to apply.

## How are the Volunteers prepared for their service?

Peace Corps Georgia provides online onboarding and learning for two months, three-week orientation for Volunteers when they arrive in Georgia. This orientation consists of trainings in Georgian language, Georgian culture, health and safety, workplace context and preparations to work with local counterparts.

## What type of preparation work should be done by the organization before Response Volunteer arrival?

Organizations need to review the Project Description and develop a draft work plan, participate in the partner conference and  help Volunteers transportation from the hotel to their office and then to selected housing location.  Organizations are expected to conduct a brief orientation upon Volunteer arrival in their office. Recommended topics for the orientation will be shared by the Program Manager.

## When Response Volunteers arrive in country?

Response Volunteers arrive in September and commence their assignment in the month of October.  If Peace Corps recruiters were not able to identify/secure a qualified candidate, or the candidate opted out last minute, we will need to start a new recruitment process and therefore move the position for the next input. If the Volunteer drops out, another option is to request virtual collaboration with American partners based in the US. Remote collaboration envisions 5-10 hours of partnership on a weekly basis throughout February – July 2024.

## What period will the Volunteer spend in the assigned organization/community?

The Peace Corps Volunteers serve in the organization from 9 to 12 months, depending on the request. Sometimes a Volunteer is unable to complete his/her full service for medical, family, or other reasons and may return home. Volunteers who wish to discontinue their service from Peace Corps, for whatever reason, may do so without recourse. The Peace Corps is not able to fill a vacant position if a Volunteer terminates service.

Some organizations/institutions and Volunteers may choose to extend collaboration and apply for extension, provided they have met the deliverables in the position description and would like to achieve additional outcomes with the extension.

## Does the Volunteer need a separate "position"?

No, the Volunteer will not substitute for a local employee, but rather will work with a Counterpart and other staff members to share experiences and transfer skills.

## What type of working conditions does the Volunteer require?

The Volunteer should be treated with the same working conditions as his/her colleagues in the organization. Primarily, this includes a working desk, chair, and computer.

## Does the Volunteer receive a salary?

No. As a Volunteer, s/he does not receive a salary. Peace Corps Georgia provides the Volunteer with a monthly living allowance to take care of personal expenses such as food, books, toiletries, personal travel, etc.

## Where will the Volunteer live?

Peace Corps prefers independent housing options for Peace Corps Response Volunteers, however due to the realities in the community, we also consider Host Family living arrangements.

## Who will select the housing?

It is the partner organizations' responsibility, along with Peace Corps staff, to identify housing which meets Peace Corps housing safety and security criteria and is within the range of Volunteer living allowance.

## Who provides for the Volunteer's medical care?

The Peace Corps Medical Officers (PCMO) is responsible for the Volunteers health. PCV contacts the PCMO in case of medical issues. PCMOs provide extensive health training and Safety and Security Manager provide the safety training. They are responsible for supporting the Volunteer's medical and safety needs throughout their two years of service. If there is a medical emergency, if a Volunteer is seriously ill or has been seriously injured, Supervisor, Counterpart, or Host Family must help the Volunteer contact the Peace Corps Medical Office and, if necessary, arrange for emergency transportation to the closest hospital or to Tbilisi. During infections outbreak or other health related risks in the community, the host organization should inform the Volunteer and Peace Corps and support the Volunteer in taking relevant measures and adhering to regulations.

# ხშირად დასმული შეკითხვები

### ვინ არიან მოხალისეები?

მოხალისეები არიან განსხვავებული ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, პროფესიისა და გამოცდილების მქონე ქალები და მამაკაცები.

### რა მომზადებას გადიან მოხალისეები საქართველოში?

მოხალისეებს, მათი საქართველოში ჩამოსვლისთანავე, ხუთიდან თერთმეტ დღემდე ორიენტაციის კურსი უტარდებათ. კურსი მოიცავს ტრენინგებს ქართულ ენაში, ქართულ კულტურაში, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაში; ტრენინგი ასევე მოიცავს მომზადებას ადგილობრივ პარტნიორებთან და კოლეგებთან მუშაობისთვის.

### რა სახის მოსამზადებელი სამუშაო უნდა გასწიოს ორგანიზაციამ მოხალისეების ჩამოსვლამდე?

ორგანიზაციამ უნდა გადახედოს პროექტის აღწერილობას (PD) და შეიმუშაოს სამუშაო გეგმა, მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კონფერენციაში და დაეხმაროს მოხალისეებს სასტუმროდან თავიანთ ოფისში და შემდეგ შერჩეულ მასპინძელ ოჯახში ტრანსპორტირებაში. ორგანიზაციამ მოხალისეს უნდა ჩაუტაროს მოკლე საორიენტაციო კურსი მოხალისის ოფისში მისვლისას. ამკურსისთვის რეკომენდირებულ თემებს მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერი გააცნობს ორგანიზაციებს მოხალისეების ჩამოსვლამდე.

### როდის ჩამოდიან მოხალისეები ქვეყანაში?

მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამას იღებს მოხალისეების ორ ჯგუფს წელიწადში. ორგანიზაციებს მოხალისეების მოთხოვნა შეუძლიათ სექტემბრისთვის ან თებერვლისთვის. თუ მშვიდობის კორპუსის კადრების სპეციალისტები ვერ შეძლებენ კვალიფიციური კანდიდატის იდენტიფიცირებას/შერჩევას, ან კანდიდატი ბოლო წუთს გადაიფიქრებს, მოგვიწევს ახლიდან დავიწყოთ შერჩევის პროცესი და შესაბამისად, პოზიცია შემდეგი ჯგუფის ჩამოსვლის თარიღისთვის გადაიწევს.

### რამდენ ხანს გაატარებს მოხალისე შერჩეულ ორგანიზაციაში/თემში?

მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამის მოხალისეები საქართველოშო მსახურობენ 9-დან 12 თვემდე ორგანიზაციების საჭიროებების და მოთხოვნის გათვალისწინებით. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც სამედიცინო, ოჯახური ან სხვა მიზეზის გამო მოხალისე ვადაზე ადრე წყვეტს სამსახურს და ბრუნდება შეერთებულ შტატებში. მოხალისეს, რომელსაც რაიმე მიზეზის გამო აქვს მშვიდობის კორპუსში საქმიანობის შეწყვეტის სურვილი, შეუძლია ეს გააკეთოს, თუმცა, მოხალისედ ვეღარ დაბრუნდება. სამსახურის ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, მშვიდობის კორპუსი ვერ შეძლებს მოხალისის ჩანაცვლებას.

### სჭირდება თუ არა მოხალისეს ცალკე საშტატო ერთეული?

არა, მოხალისე არ დაიკავებს ადგილობრივი თანამშრომელის ადგილს. ის პარტნიორთან და სხვა თანამშრომლებთან ერთად იმუშავებს მათთვის გამოცდილებებისა და უნარების გაზიარების მიზნით.

### რა სახის სამუშაო პირობები სჭირდება მოხალისეს?

მოხალისესთვის უნდა შეიქმნას იგივე სამუშაო პირობები, რაც მის კოლეგებს აქვთ ორგანიზაციაში.

### იღებს თუ არა მოხალისე გასამრჯელოს?

მოხალისე არ იღებს ხელფასს ან გასამრჯელოს მუშაობისათვის. მშვიდობის კორპუსი საქართველოში მათ აძლევს მცირე თანხას, რომელიც მოხალისეებს საშუალებას აძლევს დაფარონ პირადი ხარჯები, როგორიცაა საკვები, წიგნები, მგზავრობს გადასახადი და ა.შ.

### სად იცხოვრებს მოხალისე?

მშვიდობის კორპუსი უპირატესობას ანიჭებს დამოუკიდებელ საცხოვრებელს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. თუმცა, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, განვიხილავთ მოხალისის მასპინძელ ოჯახში განთავსებასაც.

### ვინ შეარჩევს საცხოვრებელს მოხალისისთვის?

პარტნიორი ორგანიზაციისა და მშვიდობის კორპუსის თანამშრომლების მოვალეობაა იპოვონ ისეთი საცხოვრებელი, რომელიც აკმაყოფილებს სააგენტოს სტანდარტებს და არ აღემატება მოხალისეთა საცხოვრებელი ხარჯებისთვის გამოყოფილ თანხას.

### ვინ უწევს მოხალისეს სამედიცინო დახმარებას საჭიროების შემთხვევაში?

მოხალისის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელია მშვიდობის კორპუსის სამედიცინო ოფიცერი-ექიმი, რომელსაც მოხალისე უკავშირდება ავადმყოფობის შემთხვევაში. მშვიდობის კორპუსის ექიმები ინტენსიურ ტრეინინგს უტარებენ მოხალისეებს. უსაფრთხოების მენეჯერი ატარებს ტრენინგებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ისინი არიან პასუხისმგებელნი მოხალისის ინფორმირებაზე სამედიცინო და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით და მისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენაზე მსახურობის ორი წლის განმავლობაში. დაშავების ან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემთხვევაში ხელმძღვანელი/დირექტორი, პარტნიორი და მასპინძელი ოჯახი უნდა დაეხმაროს მოხალისეს მშვიდობის კორპუსის ექიმთან დასაკავშირებლად, საჭიროების შემთხვევაში მოახერხოს მოხალისის ჩამოყვანა უახლოეს საავადმყოფოში ან თბილისში. ინფექციის გავრცელების ან სხვა ჯანმრთელობისთვის საშიში სიტუაციების შემთხვევაში, მასპინძელმა მხარემ შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მოხალისეს, მშვიდობის კორპუსს, და ხელი შეუწყოს მოხალისეს საჭირო ღონისძიებების და რეგულაციების დაცვაში.

# CONTACT INFORMATION

*If you have additional questions or concerns, please contact Peace Corps program staff.*

| Program Manager |
|---|
| Teo Neparidze<br>Mobile: +995 591 96 98 81<br>e-mail: tneparidze@peacecorps.gov |
| **Program Support Specialist** |
| Ketevan Tatikiani<br>Mobile: +995 511 10 52 45<br>e-mail: ktatikiani@peacecorps.gov |
| **Office Address** |
| Peace Corps Georgia<br>118 Sairme St.<br>Tbilisi 0125<br>Georgia |

Peace Corps
GEORGIA

# საკონტაქტო ინფორმაცია

*დამატებითი ინფორმაციისათვის/შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით პროგრამის თანამშრომლებს.*

| პროგრამის მენეჯერი |
|---|
| **თეო ნეფარიძე**<br>**მობილური:** +995 591 96 98 81<br>**ელ.ფოსტა:** tneparidze@peacecorps.gov |
| **პროგრამის სპეციალისტი** |
| **ქეთევან ტატიკიანი**<br>**მობილური:** +995 511 10 52 45<br>**ელ.ფოსტა:** ktatikiani@peacecorps.gov |
| **ოფისის მისამართი** |
| **მშვიდობის კორპუსი/საქართველო**<br>საირმის ქ. 118<br>თბილისი 0125, საქართველო |